ეთიკის კომისიის
ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.03.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/13

შეკითხვა:

თუ საქმის წარმოების დაწყებამდე არსებობს საფრთხე, რომ შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი - ადვოკატმა მომსახურება უნდა გაუწიოს ერთ-ერთ ნათესავს ორ ნათესავს შორის სასამართლო საქმესთან დაკავშირებით. ასევე, ადვოკატი ფიქრობს, რომ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი. უნდა წარმოადგინოს თუ არა ადვოკატმა მისი ნათესავი სასამართლოში?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი: „ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი განსაზღვრავს შემთხვევებს, რომლის დროსაც სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი და ადვოკატი არ უნდა ჩაერთოს საქმეში. ინტერესთა კონფლიქტი ინტერესთა შეუთავსებლობის სახელით განმარტებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლში, რომლის, როგორც ზემდგომი ნორმატიული აქტის, შესაბამისია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით ინტერესთა კონფლიქტი არსებობს მაშინაც, როდესაც შეიძლება სახეზეა ადვოკატის მოქმედების წინააღმდეგობა საკუთარ ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

ადვოკატის ნათესავი შესაძლოა ჩაითვალოს მასთან დაკავშირებულ პირად. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაკავშირებული პირი განიმარტება, როგორც ნათესაური კავშირის მქონე პირი, რომელიც შედის პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეთა წრეში

(„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, 2007 წლის 28 მარტი, მუხლი 3, საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, 1998 წლის 24 დეკემბერი, მუხლი 2) ადვოკატს არ დაუკონკრეტებია ნათესაური კავშირის კონკრეტული სახე, თუმცა მან აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა ახლო ნათესავს, შესაბამისად, იგი შეიძლება ჩაითვალოს დაკავშირებულ პირად.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი, შესაბამისად, ერთ-ერთი ნათესავის, რომლის მოწინააღმდეგის ადვოკატიც იქნება იგი სასამართლო პროცესზე, ინეტერესი იყოს მისთვის უფრო მნიშვნელოვანი.

ვინაიდან ადვოკატს ჰქონდა დასაბუთებული ვარაუდი და არსებობდა რეალური შესაძლებლობა, რომ წარმოეშობოდა ინტერესთა კონფლიქტი: მისი მოქმედება შესაძლებელი იყო ყოფილიყო მასთან დაკავშირებული პირის - ნათესავის ან თავად მისი, როგორც კლიენტის ნათესავის, ინტერესების საწინააღმდეგო, შესაბამისად, სახეზე იქნებოდა ინტერესთა კონფლიქტი.

დასკვნა:

თუ საქმის წარმოების დაწყებამდე არსებობს საფრთხე, რომ შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი - ადვოკატმა მომსახურება უნდა გაუწიოს ერთ-ერთ ნათესავს ორ ნათესავს შორის სასამართლო საქმესთან დაკავშირებით. ასევე, ადვოკატი ფიქრობს, რომ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი, ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა სასამართლოში.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.